ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორტორია. მასში განთავსებულია ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის ლაბორატორიის სრული კომპლექტი, რომელიც საჭიროებისამებრ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	ივსევა შესაბამისი მასალით და რეაქტივებით. კაბინეტში მოწყობილია ნიჟარა ონკანით, გამწოვი და ორი ფართო ფანჯარა. ამავე ოთახში მერვე კლასის ოთახია. <u>რამდენადაც მოსწავლეთა უსაფრთხოების გათვალისწინებით ლაბორატორიის საკლასო ოთახად გამოყენება არ არის მიზანშეწონილი, სკოლას მიეცა რეკომენდაცია მერვე კლასის სხვა ოთახში გადაყვანასთან დაკავშირებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში არის საკმარისი საკლასო ოთახები.</u>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შესყიდვის დოკუმენტაცია; • ვიზუალური დათვალიერების შედეგები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში ეფექტური საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის შექმნილია აუცილებელი გარემო. ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება და დიდი ფანჯრები. სკოლას ელექტროენერგია მიეწოდება ენერგო–პროჯორჯიას ბათუმის სამსახურისგან. სკოლა არის ასევე „შპს ბათუმი წყალის“ მომხმარებელი. სანიტარულ–ჰიგიენური ნორმების გათვალისწინებით მოწყობილია 4 სველი წერტილი, მათ შორის 2 გოგონებისა და 2 ბიჭებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• გადახდის ქვითრები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	• ვიზუალური დათვალიერების შედეგები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ბიბლიოთეკაში, განთავსებულია სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით არჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები. ასევე, დამხმარე და მეთოდური ლიტერატურა მასწავლებლებისთვის. საინვენტარო წიგნის მიხედვით, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 3189 ერთეულს. შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება და სარგებლობის წესები, რომელიც გამოკრულია ოთახში. ბიბლიოთეკარი, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება, ჟურნალში აწარმოებს წიგნების გატანისა და დაბრუნების აღრიცხვას. წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ბიბლიოთეკა ჩართულია http://bibliocat.ge/-ში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ბიბლიოთეკის დებულება; • სამსახურებრივი ინსტუქციები; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს ქუჩასთან დამაკავშირებელი ერთი ძირითადი და ორი სათადარიგო გასასვლელი. შენობის შიდა სივრცეში დამონტაჟებულია 2 ლიფტი. ერთი სათადარიგო შესასვლელის ასასვლელ კიბეებზე დამაგრებულია პანდუსები. ერთერთი სველი წერტილი ადაპტირებულია შშპ პირისთვის, რომელშიც დამაგრებულია სახელურები, თუმცა შესასვლელი კარი 63 სმ-ია და შესაბამისად სტანდარტს არ აკმაყოფილებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერების შედეგები.
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების ფლობელობაშია 14 ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი. მათ შორის 6 პერსონალური კომპიუტერი და 3 ლეპტოპი განთავესებულია ბიბლიოთეკაში, რომლის ოთახიც ასევე გამოიყენება ინფორმატიკის გაკვეთილებისთვის. ამავე ოთახის პატარა მომიჯნავე ოთახში განთავსებულია 1 ლეპტოპი ბიბლიოთეკარისთვის. 2 პერსონალური კომპიუტერი განთავსებულია სამასწავლებლოში და 1 დირექტორის კაბინეტში. 1 ნოუთბუქში ჩართულია ვიდეოკამერები. გარდა ამისა სკოლას აქვს ერთი კომბაინის აპარატები (ქსეროქსი-პრინტერი). ვიზიტის პერიოდში სკოლის ვებ-გვერდი: www.montparnasse.edu.ge არ ფუნქციონირებდა (დაბლოკვის გამო), თუმცა სკოლამ წარმოადგინა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	ერთჯერადი მომსახურების ხელშეკრულება (07.07.20 წ.), რომლის თანახმად შემსრულებელი იღებს ვალდებულებას, რომ 27 აგვისტოსთვის დასრულდება სკოლის ვებ-გვერდის შექმნა/განახლება (გრაფიკული დიზაინის აწყობა, ვებ-გვერდის შაბლონის შექმნა, კონტენტის მართვის სისტემის დამუშავება, მონაცემთა ბაზის შექმნა, ვებ სერვისებზე გაშვება). სკოლას აქვს fasebook -ი
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შესყიდვის დოკუმენტაცია; • ვიზუალური დათვალიერების შედეგები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებაში არსებობს საგანგებო სიტუაციების დროს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აპრილის 28/ნ ბრძანების საფუძველზე შემუშავებული წესები ხანძარსაწინააღმდეგო, სამედიცინო და უსაფრთხოების პრინციპების გათვალისწინებით, რომლითაც განსაზღვრულია სასწავლებლის მიერ შესაბამის სიტუაციაში გასატარებელი ღონისძიებები. სკოლაში შექმნილია ბუნებრივი და ტექნოგენურ კატასტროფებზე საგანგებო რეაგირების გეგმა და შესაბამისი ტექნოგენურ კატასტროფებზე საგანგებო რეაგირების შტაბი, შემდეგი შემადგენლობით: საგანგებო შტაბის უფროსი; ევაკუაციაზე პასუხისმგებელი პირი; მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	პასუხისმგებელი პირი; კავშირგაბმულობისა და შეტყობინების საკითხებზე პასუხისმგებელი პირი; პირველად სამედიცინო დახმარებაზე პასუხისმგებელი პირი; საზოგადოებრივი წესრიგზე (დისციპლინური საკითხები) პასუხისმგებელი; სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხიმგებელი პირი. შემუშავებულია საგანგებო სიტუაციების დროს მოსწავლეების ევაკუაციის გეგმა, რომლის თანახმად მოსწავლეები პირველი დერეფნიდან დატოვებენ სკოლის ტერიტორიას ცენტრალური შემოსასვლელით, ხოლო მეორე დერეფანი სათადარიგო №2 გასასვლელით. სკოლა აღჭურვილია 3 ცეცხლმაქრით, რომელიც გადამუხტული იყო მიმდინარე წელს. დაწესებულებამ წარმოადგინა შპს „სახანძრო უსაფრთხოებასგან" მიღებული ზედნადები რთაც დასტურდება", ცეცხლმაქრების შესყიდვა და ცაეცხლმაქრების გადამუხტვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ტექნოგენურ კატასტროფებზე საგანგებო რეაგირების გეგმა; • შესყიდვის დოკუმენტაცია; • ვიზუალური დათვალიერების შედეგები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის დერეფანში და საკლასო ოთახებშიც გამოკრულია ევაკუაციის გეგმები. დერეფნებში კედლებზე განთავსებულია ისრები, ხოლო ჭერში დაკიდულია ევაკუაციის გასავლელი ელექტრო ნიშნები EXIT. დაწესებულებამ წარმოადგინა შპს „სახანძრო უსაფრთხოებასგან" მიღებული ზედნადები, რთაც დასტურდება ევაკუაციის გეგმების, ევაკუაციის გზის მაჩვენებელის, ნიშანი „112" -ის შესაბამისი ორგანოების მიერ შემუშავება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერების შედეგები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას ჰყავს ექთანი რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. საჭირო ინვენტარით აღჭურვილ სამედიცინო ოთახში, განთავსებულია სამედიცინო ტახტი, კარადა, ექთნის მაგიდა და ონკანი. ექთნის ფუნქცია-მოვალეობები გაწერია სკოლის მიერ შექმნილ სამსახურეობრივ ინსტრუქციებში, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის მიერ. სკოლის ყველა თანამშრომელს გავლილი აქვს სამედიცინო კოორპორაცია „ევექსის“ პირველდი სამედიცინო დახმარების ტრენინგები.სკოლას შემუშავებული აქვს სამედიცინო/სანიტარული სტრუქტურურლი ერთეულის დებულება, რომლითაც განსაზღვრულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის და სანიტარული ზომების გატარების წესი, ექთნის უფლება-მოვალეობები, სანიტარულ-სამედიცინო კაბინეტის მიზნები და ფუნქციები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შრომითი ხელშეკრულება; • შპს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება „მონპარნასის“ სამსახურებრივი ინსტრუქციები; • ვიზიალური დათვალიერების შედეგები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში მოსწავლეთა წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებულია მოსწავლეთა უსაფრთხოდ გადაადგილების გარკვეული რეგულაციები, რომლის მიხედვითაც შედგენილია კოორდინატორთა მორიგეობის განრიგი. კვირის დღეების მიხედვით გამოყოფილი მორიგე კოორდინატორები აკონტროლებენ სკოლის შენობაში მოსწავლეთა უსაფრთხოდ გადაადგილებას. კერძოდ, მორიგე კოორდინატორი ხვდება პირველ სართულზე მოსწავლეებს და აცილებს მესამე სართულამდე, ხოლო მოსწავლეთა გაცილების დროს უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩაყვანას პირველ სართულზე. მორიგე მასწავლებელი აკონტროლებს მოსწავლეთა გადაადგილებას დერეფანში დასვენებებზე ან ბუფეტში შესვლის დროს. სკოლას ჰყავს დაცვა, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სადამრიგებლო პროგრამა; • საშტატო განრიგი; • ვიზუალური დათვალიერების შედეგები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	11 კამერა უზრუნველყოფს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და შეესაბამება მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს. დაწესებულების გარე პერიმეტრის კონტროლს უზრუნველყოფს 8 კამერა, ხოლო შიდა პერიმეტრზე დამონტაჟებულია 3 ვიდეო კამერა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	გარე პერიმეტრის კამერებიდან 2 დამონტაჟებულია ცენტრალურ შესასვლელთან, 1 პირველსა და მეორე სართულის კიბეზე, 1 მეორე და მესამე სართულის კიბეზე, 1 მესამე სართულზე სკოლის შესასვლელთან, ეზო კონტროლდება 2 კამერით ერთი სათადარიგო შემოსასვლელიდან და მეორე ერთ-ერთი საკლასო ოთახის ფანჯარასთან დამონტაჟებული კამერით. შიდა პერიმეტრის კამერები განლაგებულია დერეფნებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხელშეკრულება სამეთვალყურეო ვიდეოკამერების შესახებ; • სასაქონლო ზედნადები; • ვიზუალური დათვალიერების შედეგები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დირექტორის 2016 წლის 15 სექტემბრის N 15 ბრძანებით დამტკიცებულია შპს „ლედას“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება „მონპარნასის“ შინაგანაწესი, რომლითაც განსაზღვრულია თანამშრომელთა განთავისუფლების და წახალისების წესები; შრომითი ურთიერთობების შეჩერება/შეწყვეტის წესები; თანამშრომელთა წახალისების წესები; სამუშაო დრო, შრომითი ანაზღაურება, შვებულებისა და მივლინების მიცემის წესები; სამუშაო დრო და დასვენების დრო; თანამშრომელთა წახალისების წესი; მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის როლი და სკოლასთან მათი ურთიერთობის მექანიზმები; საგნობრივი კათედრები; დისციპლინური საქმის წარმოების წესი; შეფასების სისტემა; მოსწავლეთა ვალდებულებები; მოსწავლის წახალისების ფორმები და ა.შ. სკოლაში შემუშავებულია ასევე წესდება და გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	ამსახველი სხვა დოკუმენტები: ბიბლიოთეკის დებულება, დისციპლინური საბჭოს დებულება, მასწავლებლის შეფასების ჯგუფის დებულება, მშობელთა კომიტეტის დებულება, სამედიცინო/სანიტარულ სტრუქტურული ერთეულის დებულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შინაგანაწესი; • წესდება; • დებულებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაესებულებას შემუშავებული აქვს ერთწლიანი 2020-2021 საწავლო წლის სამოქმედო გეგმის პროექტი. გეგმის შესადგენად სკოლამ გაანალიზა წინა სასწავლო წლის შედეგები, სუსტი და ძლიერი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები, რის საფუძველზეც დასახეს ერთი წლის მანძილზე განსახორციელებელი ამოცანები, შესაბამისი აქტივობები და განსაზღვრეს შემსრულებელი პირები. სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად განისაზღვრა მატერიალური ბაზის გაუმჯობესება. კერძოდ, საგნობრივი საკლასო კაბინეტების მოწყობა და მათი აღჭურვა თანამედროვე ტექნოლოგიებით; ინვენტარის შევსება, განახლება; საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის რეაქტივებით, მულაჟებით შევსება; ბიბლიოთეკის შევსება განახლება და სხვა. სამოქმედო გეგმით განისაზღვრა შპს „ლედას“ ზოგასაგანმანათლებლო საზოგადოება „მონპარნასზე“ შემდგომი საფეხურის (საშუალო) მიღება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	-ავტორიზაციის საკითხი, რომლის განსახორციელებლად სკოლაში შეიქმნა შესაბამისი კომისია 9 წევრის შემადგენლობით. კომისიის წევრთა მიერ მომზადდა შესაბამისი რეკომენდაციები და წინადადებები, მათ მიერ მომზადდა ავტორიზაციისათვის შესაბამისი დოკუმენტაცია და შეივსო თვითშეფასების კითხვარი. სკოლამ წარმოადგინა ასევე ექვსწლიანი 2016.2022 სასწავლო წლების სამოქმედო გეგმაც, რომლის მთავარი ორიენტირებია: ამოცანა 1.1: ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტების დანერგვის მექანიზმების უზრუნველყოფა; ამოცანა 1.2: სკოლის პედაგოგიური კადრების განახლება და პროფესიული კვალიფიკაციის განვითარება; ამოცანა 1.3: დამატებითი სასწავლო, შემეცნებითი და შემოქმედებითი ღონისძიებების განხორციელება; ამოცანა 1.5: სკოლის ჩართვა სხვადასვა პროექტებსა და საგანმანათლებლო პროგრამებში; გაცვლითი და ერთობლივი პროგრამების მომზადება კერძო და საჯარო სკოლებთან; ამოცანა 2.1: სკოლის კომპიუტერიზაციის დასრულება; ამოცანა 2.2: სპორტული დარბაზის კეთილმოწყობა და აღჭურვა სათანადო ინვენტარით; ამოცანა 2.3: სკოლის ეზოს (და ეზოს მიმდებარე დამატებითი ნაგებობების) კითილმოწყობა ამოცანა 2.4: სკოლის აღჭურვა თანამედროვე სასწავლო თვალსაჩინოებით. <u>დაწესებულების წარმომადგენლებს მიეცათ რეკომენდაცია ექვსწლიანი სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით. კერძოდ, ექსვსწლიან გეგმაში წლების მიხედვით განისაზღვროს აქტივობები და განმახორციელებლები.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2020-2021 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა; • ექვსწლიანი 2016.2022 სასწავლო წლების სამოქმედო გეგმა; • სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში დირექტორის 2019 წლის N 01-03/01 ბრძანებით შემუშავებულია საქმის წარმოების ერთიანი წესი სკოლის შინაგანაწესითა და საშტატო ერთეულებით განსაზღვრულია კადრების და კანცელარიის განყოფილების პოზიცია, რომელიც შესაბამისი დებულებების მოთხოვნათა საფუძველზე ახდენს: სკოლის მიერ გამოცემული აქტების აღრიცხვას; შემოსული და გასული კორესპოდენციის, მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების, ბრძანებების, ჟურნალების, მოსწავლე–მასწავლებელთა და ტექნიკური პერსონალის პირადი საქმეების რეგისტრაციის კოდირებული სისტემით დალაგებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საქმის წარმოების ერთიანი წესი; • შემოსული და გასული კორესპოდენციის ჟურნალები; • ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალები;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

რეკომენდაციები:	2.1 დ) საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში განთავსებულია მერვე კლასის საკლასო ოთახი. რამდენადაც მოსწავლეთა უსაფრთხოების გათვალისწინებით ლაბორატორიის საკლასო ოთახად გამოყენება არ არის მიზანშეწონილი, სკოლას მიეცა რეკომენდაცია მერვე კლასის სხვა ოთახში გადაყვანასთან დაკავშირებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში არის საკმარისი საკლასო ოთახები.
რჩევები:	2.8. დაწესებულების წარმომადგენლებს მიეცათ რეკომენდაცია ექვსწლიანი სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით. კერძოდ, ექსვსწლიან გეგმაში წლების მიხედვით განისაზღვროს აქტივობები და განმახორციელებლები.
ხარვეზები:	2,1, ა) სკოლის შენობა მდებარეობს ქ. ბათუმში, აღმაშენებელის ქ. N13-ში მდებარე ხუთსართულიანი შენობის მესამე სართულზე. შენობაში შესვლა შესაძლებელია სამი კარით, თუმცა ყველა შესასვლელი გამოიყენება ასევე სხვა დაწესებულებების მიერ, რომლებიც განთავსებულია ამ შენობაში. შენობის პირველ 3 სართულზე ფუნქციონირებს 2 საგანმანათლებლო დაწესებულება, კიევის ევროპული უნივერსიტეტი და ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტი. მესამე სართულზე ასვლა ცენტრალური შესასვლელიდან შესაძლებელია ლიფტის გამოყენებითაც, ხოლო მეორე შესასვლელის კიბეებზე დამაგრებულია პანდუსები. შენობის შესასვლელებში, ყველა სართულის კიბის უჯრედებზე და ფოიეში დამონტაჟებულია ვიდეო სათვალთვალო კამერები, რომლებიც სკოლაში განთავსებულ მონიტორებზე კონტროლირდება. მესამე სართულზე სკოლის ტერიტორია გამოყოფილია კარით, რომელიც სასწავლო პროცესის დაწყების მომენტიდან იკეტება. <u>რამდენადაც სკოლას არ აქვს დამოუკიდებელი შესასვლელი ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ექსპერტების მიერ მიეცათ რეკომენდაცია ფართის ცვლილებასთან დაკავშირებით.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	2.4 ერთერთი სველი წერტილი ადაპტირებულია შშპ პირისთვის, რომელშიც დამაგრებულია სახელურები, თუმცა შესასვლელი კარი 63 სმ-ია და შესაბამისად სტანდარტს არ აკმაყოფილებს.
სტანდარტის შეფასება	☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	საშტატო განრიგით და ფაქტობრივი მდგომარეობით სკოლას ჰყავს 1დირექტორი, 1 ბუღალტერი, 1 საქმის მწარმოებელი, 1 მნე, 1 ფსიქოლოგი, 1 საინფორმაციო ბაზის მენეჯერი, 1 იურისტი, 1 ბიბლიოთეკარი, 1 ექთანი-სანიტარული ზედამხედველი, 1 მზარეული, 1 მზარეულის თანაშემწე, 1 დამლაგებელი 1 დარაჯი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საშტატო განრიგი; • ხელშეკრულებები; • პირადი საქმეები;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	25
მოწვეული/მაბიებელი	10

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

პრაქტიკოსი მასწავლებლი	9
უფროსი მასწავლებლი	6
წამყვანი მასწავლებლი	
მენტორის სტატუსი	

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან სკოლის შინაგანაწესის „თავი II თანამშრომელთა მიღების, განთავისუფლების და წახალისების წესები მუხლი 6. სამსახურში მღების წესის“ და ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სკოლის მიერ შემუშავებულია სამსახურებრივი ინსტრუქციები, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით N01-03/07, 01.10.19 რომელშიც გაწერილია, სკოლაში მომსახურე ყველა დასაქმებულის უფლება-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. მასწავლებლებს, რომლებსაც არ აქვთ სტატუსი, ჩაბარებული აქვთ გამოცდები და ელოდებიან შედეგებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შინაგანაწესი; • სამსახურეობრივი ინსტრუქციები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის დირექტორის 2016 წლის N15 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესის თანახმად მიღებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა: „თავი II თანამშრომელთა მიღების, განთავისუფლების და წახალისების წესები მუხლი 6 - სამსახურში მღების წესი“; მუხლი 7 - შრომითი ურთიერთობის წარმოშობა; მუხლი 8 - შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა/შეჩერება; მუხლი 9 - თანამშრომლის წახალისების წესი; მუხლი 23 - დასაქმებულის დისციპლანური გადაცდომა, დისციპლინური საქმის წარმოება. სკოლის მიერ შემუშავებულია სამსახურებრივი ინსტრუქციები, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით N01-03/07, 01.10.19 სადაც გაწერილია, სკოლაში მომსახურე ყველა დასაქმებულის ფუნქციები. სკოლის დირექტორის 2019 წლის 01 ოქტომბრის N 01-03/10 ბრძანებით შემუშავებულია ასევედისციპლინური საბჭოს დებულება, რომელიც განსაზღვრავს დისციპლინური საბჭოს ძირითად სტატუსს, ამოცანებს, უფლებამოსილებასა და მუშაობის წესებს. დისციპლიმური საბჭო სკოლის ადმინისტრაციისაგან მიღებული მასალების საფუძველზე აფასებს სკოლის თანამშრომელთა და მოსწავლეთა მიერ ჩადენილი გადაცდომების (შინაგანაწესის დარღვევის) სიმძიმის ხარისხს და ღებულობს გადაწყვეტილებას შესაბამისი სახდელის დაწესების ან არდაწესების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი; • სამსახურეობრივი ინსტრუქციები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას ყველა თანამშრომელთან გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულება, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი: ხელშეკრულების მხარეთა რეკვიზიტები; ხელშეკრულების საგანი; შრომითი ურთიერთობის წარმოშობის საფუძველი; შრომით ხელშეკრულების ფორმა; შრომითი ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობები; სამუშაო ადგილი და დრო; შრომის ანაზღაურების პირობები; შვებულების ხანგრძლივობის, მიცემის წესი; მხარეთა პასუხისმგებლობის წესი; შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები; ცვლილებები და დამატებები; დავის გადაწყვეტის წესი. ხელშეკრულებაში არ არის მითითებული ხელფასის ოდენობა, თუმცა მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი განმარტავს, რომ მასწავლებლის შრომის ანაზღაურება მოხდება ტარიფიკაციის მიხედვით ჩატარებული საათების რაოდენობის მიხედვით“, რომელსაც განსაზღვრავს დირექტორის ბრძანება სკოლის სახელფასო საშტატო ერთეულის დამტკიცების შესახებ. დოკუმენტში არის ჩანაწერი საათობრივი რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. სკოლის იურისტით განმარტებით ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტში თანამშრომელი ვალდებულია გაეცნოს ამ დოკუმენტსაც. ექსპერტთა მხრიდან დაწესებულების წარმომადგენლებს და მათ შორის იურისტს მიეცათ რეკომენდაცია თანამშრომლებთან ახალი ხელშეკრულებების დადებასთან დაკავშირებით, რომელშიც სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად მითითებული იქნება ხელფასის ოდენობა, ხოლო მასწავლებლებთან მიმართებაში ერთი ჩატარებული გაკვეთილის ღირებულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• წარმოდგენილი ხელშეკრულებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	• მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები; • იურისტთან გასაუბრების შედეგები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შემუშავებულია ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები. ფუნქციონირებს მასწავლებელთა შეფასების ჯგუფი და შემუშავებულია შესაბამისი დებულება. დებულებით განსაზღვრულია შეფასების ჯგუფის მიზნები და ამოცანები. კერძოდ, სკოლის მასწავლებლებისათვის პროფესიულ განვითარებაში დახმარება და სქემით გათვალისწინებული საქმიანობების დაგეგმვა და განხორციელება. მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად ყოველწლიურად ტარდება ტრენინგები (როგორც შიდა სასკოლო, ისე მოწვეული ექსპერტების მიერ) საგნობრივი მიმართულებებით. ღია გაკვეთილების (კოლეგიალური) შედეგების განხილვისას ხდება შემდგომი განვითარების გზების დასახვა, მასწავლებელთა საჭირო რესურსებით, მათ შორის ელექტრო რესურსებით მომარაგება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის საგნობრივი კათედრების დებულებები; • მასწავლებელთა სერთიფიკატები; • პედსაბჭოს კრების ოქმები; • დირექტორის ბრძანებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რასაც ადასტურებს როგორც მასწავლებლებთან, ასევე მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუები. მასწავლებელთა შორის გადანაწილებულია უფლება - მოვალეობები. სკოლის ცხოვრებაში აქტიურად არიან ჩართულნი მშობლები და შემუშავებულია , რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობების მაქსიმალურ განვითარებასა და გამოვლენას., პასუხისმგებლობის გადანაწილებას, რომელსაც არეგულირებს პედაგოგიური საბჭო და დისციპლინური საბჭო. მუდმივად მიმდინარეობს გამოცდილების გაზიარების მიზნით მასწავლებელთა ურთიერთდასწრება საგაკვეთილო პროცესზე და ღონისძიებებზე. ერთობლივი კულტურულ–საგანმანათლებლო აქტივობების დაგეგმვა–განხორციელება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის დისციპლინური საბჭოს დებულება; • პედაგოგიური საბჭოს დებულება; • თანამშრომელთა სამსახურებრივი ინსტრუქციები ორივე მხარ ხელმოწერით. • მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები; • მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	3.4 <u>ხელშეკრულებაში არ არის მითითებული ხელფასის ოდენობა, თუმცა მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი განმარტავს, რომ მასწავლებლის</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

	<u>შრომის ანაზღაურება მოხდება ტარიფიკაციის მიხედვით ჩატარებული საათების რაოდენობის მიხედვით“,</u> რომელსაც განსაზღვრავს დირექტორის ბრძანება სკოლის სახელფასო საშტატო ერთეულის დამტკიცების შესახებ. დოკუმენტში არის ჩანაწერი საათობრივი რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. სკოლის იურისტით განმარტებით ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტში თანამშრომელი ვალდებულია გაეცნოს ამ დოკუმენტსაც. <u>ექსპერტთა მხრიდან დაწესებულების წარმომადგენლებს და მათ შორის იურისტს მიეცათ რეკომენდაცია თანამშრომლებთან ახალი ხელშეკრულებების დადებასთან დაკავშირებით, რომელშიც სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად მითითებული იქნება ხელფასის ოდენობა, ხოლო მასწავლებლებთან მიმართებაში ერთი ჩატარებული გაკვეთილის ღირებულება.</u>
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

XI. თანდართული დოკუმენტაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.

თბილისი, 07.09.2020
გვერდების რაოდენობა 46

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

ბ.ა.